Raub

Delikt welches sich im **deutschen Recht** (§ 249 dStGB) aus der Wegnahme einer fremden beweglichen Sache (= Diebstahl) bei gleichzeitiger Gewaltanwendung gegen eine Person oder Drohung mit gegenwärtiger Gefahr für Leib oder Leben (= qualifizierte Nötigungsmittel) zusammensetzt. Dabei muss das Nötigungsmittel gerade die Wegnehme ermöglichen (Finalzusammenhang). Daneben ist die Absicht erforderlich, sich oder einem anderen die erlangte Sache rechtwidrig zuzueignen. Geschützte Rechtsgüter sind das Eigentum und die persönliche Freiheit. Nach **georgischem Recht** (Art. 179 gStGB) ist es erforderlich, dass der Täter einen Überfall auf einen Menschen, verbunden mit einer lebens- oder gesundheitsgefährdenden Gewaltanwendung verübt oder ihm mit einer solchen lebens- und gesundheitsgefährdenden Gewalt droht. Subjektiv muss der Täter mit der Absicht handeln, sich eine fremde bewegliche Sache rechtswidrig zuzueignen, die Wegnahme muss also nicht objektiv vollzogen werden. Obwohl dies nicht direkt aus dem Tatbestand hervorgeht, muss nach der Rechtsprechung die Drohung mit Gewalt gegenwärtig sein. Außerdem reicht es auch nach georgischem Recht aus, wenn der Täter mit Drittzueignungsabsicht handelt. Geschützte Rechtsgüter sind das Eigentum und die Gesundheit. Damit entsprechen sich das deutsche und das georgische Recht weitgehend. Unterschiede bestehen allerdings insoweit, als die angedrohte oder ausgeübte Gewalt im georgischen Recht lebens- oder gesundheitsgefährdend sein muss (was sich auch auf die geschützten Rechtsgüter auswirkt). Auch muss die Wegnahme nach georgischem Recht nur beabsichtigt, nach deutschem Recht hingegen vollzogen sein. (Bhe/Mtu/Gkh)

ყაჩაღობა

დანაშაული, რომელიც **გერმანულ სამართალში** (გსსკ-ის 249-ე პარაგრაფი) გულისხმობს სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლებას (= ქურდობა) პირის მიმართ იმწუთიერი ძალადობის გამოყენებით ან სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში მუქარით (= იძულების კვალიფიციური საშუალება). გარდა ამისა, საჭიროა დაუფლებული ნივთის თავისთვის ან სხვისთვის უკანონოდ მითვისების განზრახვა. დაცული სამართლებრივი სიკეთე არის საკუთრება და პირადი თავისუფლება. **ქართული სამართლის** მიხედვით (სსსკ-ის 179-ე მუხლი) აუცილებელია ამსრულებელი თავს დაესხას პირს სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენებით, ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით. სუბიექტურად ამსრულებელი უნდა მოქმედებდეს სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, შესაბამისად არ არის აუცილებელი ფაქტობრივად მოხდეს ნივთის დაუფლება. მიუხედავად იმისა, რომ დანაშაულის შემადგენლობიდან უშუალოდ არ იკვეთება, სასამართლო პრაქტიკით დადგენილია, რომ ძალადობის მუქარა უნდა იყოს იმწუთიერი. ამასთან, ქართული სამართლის მიხედვით, საკმარისია თუ ასრულებელი მოქმედებს მოძრავი ნივთის მესამე

პირისათვის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. ყაჩაღობისგან სისხლისსამართლებრივად დაცულ სიკეთეს წარმოადგენს საკუთრება და ჯანმრთელობა. ეს ნიშნავს იმას, რომ გერმანული და ქართული სამართალი ყაჩაღობის ნაწილში უმეტესწილად შეესაბამება ერთმანეთს. განსხვავება არსებობს იმ თვალსაზრისით, რომ ქართულ სამართალში გამოყენებული ძალადობა/ძალადობის მუქარა უნდა იყოს სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისთვის საშიში (რაც გავლენას ახდენს დაცულ სამართლებრივ სიკეთეზე). ასევე დაუფლება ქართული სამართლის მიხედვით საკმარისია იყოს მხოლოდ გამიზნული, გერმანული სამართლის მიხედვით კი დაუფლება ობიექტურად უნდა განხორციელდეს. (Bhe/Mtu/Gkh)